1-ს ფებერვალს — წელიწადი მესამე. — 1885 წელსა.

# მწყემსი

№ 3.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი“ რუსული დამატებით— ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოვე[illegible] გვარი წერილების გაგზავნა შეიძლ[illegible] რედაქციაში ამ ად[illegible]: *Въ мѣст[illegible]*

*Въ р[illegible]акцію „Мцкемси“ (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდად, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრეად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწო[illegible] დაიბეჭდონ. სტატიებ[illegible] კორესპონდენციები, რომელნიც [illegible]ბეჭ[illegible] განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: ოფიც. ნაწილი: რედაქციისაგან.—განჩინება უწმიდესი სინოდისა ახლად გამოცემულ სასულიერო სემინარიათა დ სასწავლებელთა წესდების გამოცემაზე.—სემინარიის ახალი წესდება.—არა ოფიციალური ნაწილი. საზოგადო ეპარქიალური შეკრებილება მთელი ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელო დეპუტატთა ქ. თბილისში.—მცირე შენიშვნა.—საისტორიო მასალა: ალავერდის სობორო კახეთში.—კათოლიკოზი ანტონი II დ მისი დრო. (გაგრძელება) —ლეჩხუმიდამ.—მატიანე საეკლესიო დ საზოგადოებრივი ცხოვრებისა.—ჟურნალ გაზეთთაგან.—ქადაგება იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა 14 იანვარს.—რედაქციის პასუხი.—განცხადებანი.

რედაქციისაგან. რადგან დაბარებული შრიფტი სტამბას დროზე არ მოუვიდა პეტერბურღიდამ, ამისათვის რუსული დამატება დროზე ვერ გამოვიდა; ეს დამატება ფებერვალში გამოვა ორივე თვისა ცალ-ცალკე.

## ოფიციალური ნაწილი.

### განჩინება უწმიდესი სინოდისა 5—18 სეკტემბრამდის 1884 წლისა. № 1801. უმაღლესად დამტკიცებულს წესდებულებებზედ და შტატებზედ სასულიერო სემინარიათა და სასწავლებელთა.

ბრძანებისა მებრ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინეს: წინადადება ბატ. აღმასრულებელის სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობათა, წარსულის აგვისტოის 29-დამ № 4168, რომლითა უცხადებს უწმიდეს სინოდს,—დამოკიდებულთა განკარგულებათათვის,—მაზედ, რომ, თანახმად უწმიდესის სინოდის განჩინებისა, წარსულის აგვისტოის 8 დამ,—ბატ. ობერ-პროკურორის მიერ მირთმეულ იქმნენ უმაღლესად განსახილველად მისის იმპერატორებითის უდიდ ბულესობისა პროექტნი შეცვლილის წესდებ ლებებისა და შტატებისა სასულიერო სემინარიათა და სასწავლებელთა, და რომ ხელმწიფე იმპერატორმა, იმავე აგვისტოის 22 დღესა, გახადა რა ღირსი დამტკიცებისა აღნიშნული პროექტნი, უმაღლესად ინება მინდობა უწმიდესი სინოდისადმი, დამდგარის 1884—1885 წლის დასაწყისიდამ, ამ წესდებულებათა და შტატთა შემოღებისა მხოლოდ იმ ნაწილებში, რომელნიც შეეხებიან საკუთრად ადმინისტრატიულს დაწყობილებას სასულიერო სემინარიათა და სასწავლებელთა, ხოლო სასწავლო ნაწილის საქმით შემოღების გადადებისა მომავალს 1885—1886 სასწავლო წლამდის. და, შემოწმების შემდეგ, ბრძანეს: უმაღლესად დამტკიცებული, წარსულის აგვისტოის 22 დღეს, წეს-

დებულებები და შტატები სასულიერო სემინარიათა და სასწავლებელთა მიენდოს სამეურნეო გამგეობას უწმიდეს სინოდთან, დაბეჭდის შემდეგ აქაურს სინოდის სტამბაში, რამდენი ცალიც საჭიროა, გაეგზავნოს სინოდის კანტორებს, უწმიდესი სინოდის წევრებს და ეპარქიის მღვდელთ მთავრებს, რამდენიც ეკუთვნის თითოეულს ყოვლად სამღვდელთაგანს, როგორც მათთვის პირად, აკადემიებისა (სადაც ისინი არიან), სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლებისთვის, ეპარქიის კონსისტორიებისთვის, ყოვლად სამღვდელოებისთვის, და აგრეთვე ვიკარ-ეპისკოპოზებისთვის, გარდაცემითერთ გარდა ამისა ორ ორის ცალის ესრეთ წესდებულებათა და შტატთა სასწავლო კომიტეტში უწმიდეს სინოდთან, ობერ-პროკურორის კანცელარიაში, სინოდის კანცელარიის ყველა განყოფილებებში და კანცელარიის მმართველის საქმეებში; 2) დასაბეჭდად აღნიშნულის უმაღლესად დამტკიცებულის წესდებულებებისა და შტატებისა ,,სენატის უწყებებში,'' ,,საეკკლესიო'' და ,,მმართებლობის'' მოამბეში გაგზავნოს იმ წესდებულებების და შტატების დაბეჭდილი ცალები უმართებულეს სენატში უწყებასთან, ხოლო დასახელებულის გამოცემების რედაქციებში გამოწერით. 3) მეორე მუხლის ძალით აწინდელს წინადადებაში განმარტებულის უმაღლესის ნებისა შემოიღონ ახალი წესდებულებანი და შტატნი დამდგარის 1884—5 სასწავლო წლიდამ ერთსა და იმავე დროს ყველა სასულიერო სემინარიებში და სასწავლებლებში მხოლოდ იმ ნაწილებში, რომლებიც შეეხებიან საკუთრად ადმინისტრაციულს დაწყობილობას სასულიერო სემინარიათა და სასწავლებელთა, ხოლო საქმით შემოღება სასწავლო ნაწილისა, საფუძველსა ზედა, რომელიც უნდა შემუშავებულ იქმნეს შემდგომში,—გარდასდვან მომავალს 1885—6 სასწავლო წლამდის. მიხედვით იმისა, რომ მომავალს სასწავლო წელიწადში საქმით შემოღებისთანავე სასწავლო ნაწილისა სასულიერო სემინარიებში და სასწავლებლებში, საფუძველთა ზედა აწინდელი უმაღლესად დამტკიცებულის წესდებულებისა და შტატებისა ამა სასწავლო დაწესებულებათა, ზოგიერთნი მასწავლებელთაგანი, ახალი დაწყობისა გამო სასწავლო ნაწილისა ყველა საგნების შესახებ და განსაკუთრებით კლასიკურს ენებში გაკვეთილების რიცხვის შემცირებისაგამო,—უნდა შტატს გარეთ დარჩნენ—მიენდოს ეპარხიის მღვდელმთავართა წარმოუდგინონ უწმიდესს სინოდს 1 ს პრ. 1885 წ. ცნობები ამ გვარს მასწავლებლებზე და მოსაზრებანი მაზედ, ხომ არ შეიძლება მიეცესთ ამ პირთ სხვა დანიშნულებანი მათის ეპარხიების სასწავლებლებში. 5.) შინაარსზედ აწინდელის განჩინებისა, მისი დაბეჭდვის საშუალებით ,, საეკკლესიო მოამბეში,'' შეატყობინონ ეპარხიის ყოვლად სამღვდელო არქიერთა მათის მხრით დამოკიდებულის, რაშიც ჯერ არს, განკარგულებათათვის აღსასრულებლად ამა განჩინებისა.

ნამდვილზედ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით დაწერილია:

,,ასე იყოს.''

პეტერგოფში,
22 აგვ. 1884 წელსა.

## წესდებულება მართლ-მადიდებელ სასულიერო სემინარიათა.

### თავი I. — საზოგადო დებულებანი.

§ 1. სასულიერო სემინარიები არიან სასწავლო—აღსაზრდელნი დაწესებულებანი ახალ-გაზდობის მოსამზადებლად სამსახურისათვის მართლ-მადიდებელის ეკკლესიისადმი.

§ 2. სემინარიები წესდებიან უწმიდესი სინოდის ნებართვით და ინახებიან საშუალებაებით, რომელნიც მის განკარგულებაში არიან, ყოვლად მოწყალებით ბოძებულის შემწეობითურთ სახელმწიფო ხაზინიდგან.

§ 3. სემინარიები, უწმიდესი სინოდის გამგეობის ქვეშე, იმყოფებიან ეპარხიის არქიერთა უმახლობელეს უწყებაში.

§ 4. სემინარიაში მსახურებენ: რეკტორი, ინსპეკტორი და მისი თანაშემწენი, მასწავლებლები, მოძღვარი, იგივეა მღვდელიც სემინარიის ეკკლესიისა, ექიმი, იკონომოსი და საპატიო მცველი სამეურნეო ნაწილისა.

§ 5. სემინარიაში დაწესებულია სამმართველო საქმეთათვის შესახებ სასწავლო, ზნეობით და სამეურნეო ნაწილთა.

§ 6. სემინარიაში მიიღებიან ახალ-გაზდა კაცები მართლ-მადიდებელის აღსარებისა ყველა წოდებათაგან.

§ 7. სემინარიაში დაწესებულია ექვსი კლასი წლიურის კურსით თითოეულში.

§ 8. მრავალ ეროვანს ეპარქიებში შეიძლება გაიხსნას შტატის პარალელური განყოფილებები, უწმიდესი სინოდის საშვალობაებით, ზოგიერთს ანუ ყოველ სემინარიის კლასებში, თითოეულის ეპარქიის მოთხოვნილებათა დაგვარ.

§ 9. სამღვდელოების სურვილისა მებრ, მისი შვილებისათვის შეიძლება გაიხსნან ადგილობრივის საშვალობაებით შტატ გარეთი პარალელური განყოფილებები, ერთს-გვარს საფუძვლებზედ შტატით დადებულს კლასებთან.

§ 10. სწავლებისათვის სემინარიაში გარდასახადი არ არის.

§ 11. ღარიბი მშობლების ობლები და შვილები, რომლებიც განირჩევიან წარმატებით მეცნიერებაში და კეთილის ყოფაქცევით, მიიღებიან სახელმწიფო ხარჯით რიცხვისამებრ უწმიდესი სინოდის მიერ განსაზღვრული ვაკანსიებისა, შესაფერად მოთხოვნილებათა თითოეულის ეპარქიისა.

§ 12. სემინარიებში წესდებიან საზოგადო ბინები სახელმწიფო და თავის ხარჯზე მყოფ მოწაფეთათვის, თანახმად წესდებულების წესდებათა.

§ 13. მეცნიერებათა კურსის დასრულების შემდეგ, საუკეთესო მოწაფეები შედიან სასულიერო აკადემიებში; სხვები, თხოვნათა მებრ, მწესდებიან ეპარქიის მთავრობის მიერ სამღვდელო და საეკკლესიო სამსახურის ადგილებზე, ან და იჭერენ სამასწავლებლო და სამეთვალყურო თანამდებობებს სასულიერო—სასწავლო დაწესებულებებში.

### თავი II.—ეპარქიის არქიერის უფლებებზედ შესახებ სემინარიისა.

§ 14. ეპარქიის არქიერს, როგორც თავის სასულიერო სასწავლებლების უმთავრესს უფროსს, აქვს უმაღლესი ზედამხედველობა სწავლების მიმართულებაზედ, მოწაფეების აღზრდაზედ და საზოგადოდ ამა წესდებულების აღსრულებაზედ სემინარიაში.

§ 15. იგი ნახულობს სემინარიას ყოველს დროს, შედის გამგეობის ვრცელს განხილვაში და რწმუნდება, თუ რა ხარისხზედ სდგას მისი (სემინარიის) კეთილწესიერება.

§ 16. იგი ესწრება ეგზამენებზედ მოსწავლეთა, განსაკუთრებით რომელნიც კურსს ასრულებენ.

§ 17. ყველა ზომებზე მოსაშორებლად შენიშნულ ნაკლულევანებათა და გასაუმჯობესებლად სემინარიის დაწყობილების რომელიმე ნაწილისა, აწინდელი წესდებულების საზღვართა შორის, ყოვლად სამღვდელო აძლევს სემინარიის სამმართველოს წერილობითს წინადადებებს აღსასრულებლად, ანუ განსახილველად.

§ 18. მისცემს რა შენიშვნას, ვისაც ჯერ არს, შენიშნულს უწესოებებზედ სამსახურის შესახებ, ყოვლად სამღვდელო, თუ ვინიცობაა მძიმე დანაშაულობა აღმოჩნდა თანამდებობის პირის მხრით, აძლევს სამმართველოს წინადადებას დამნაშავის დროებით გარდაყენებაზედ თანამდებობიდგან, ხოლო დანაშაულობის კანონიერის წესით გამოძიების შემდეგ, შვრება შესაფერს განკარგულებას.

§ 19. ეპარქიის არქიერი, თითოეული სასწავლო წლის გასვლის შემდეგ, წარუდგენს უწმიდესს სინოდს § 34 მებრ ანგარიშს სემინარიის მდგომარეობაზედ სასწავლო და ზნეობითის მხრით.

§ 20. ეპარქიის არქიერი დროებით უშვებს რექტორსა და ინსპექტორს; იმაზედვეა დამოკიდებული გაშვება სხვა თანამდებობის პირთაც სასწავლო დროს, ვადით უმეტეს თოთხმეტის დღისა, მაგრამ არა უმეტეს ოთხის თვისა, როცა უკიდურესი საჭიროება მოითხოვს.

§ 21. ეპარქიის არქიერი იცავს სემინარიის უფლებათა და უპირატესობათა და რექტორის წარდგინებისა მებრ, შეადგომლობს დაჯილდოებაზე თანამდებობის პირთა. სხვა მისი დამოკიდებულებანი სემინარიასთან განისაზღვრებიან წესდებულების ქვემდებარე თავებში.

### თავი III.—სემინარიის რექტორზე.

§ 22. რექტორი არის სემინარიის პირდაპირი უფროსი, რომელიც პასუხს აგებს მისს კეთილ დაწყობილებაზედ და კეთილ მდგომარეობაზედ ყველა ნაწილებში.

§ 23. რექტორი ინიშნება უწმიდესი სინოდის მიერ, ეპარქიის არქიერის წარდგინებისა მებრ, პირთაგან ღვთის მეტყველების მაგისტრის ანუ კანდიდატის ხარისხითა.

§ 24. გახსნილს რექტორის ვაკანსიაზე ეპარქიის ყოვლად სამღვდელო წარადგენს ერთს ანუ ორს კანდიდატს. უწმიდესი სინოდის შეხედულობაზეა დამოკიდებული დამტკიცება ერთის წარდგენილთაგანისა, ანუ სხვა პირის დანიშნვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Შენიშვნა: თუ რექტორის თანამდებობაზე დანიშნული იქნება სამღვდელო-მონაზვნო პირთაგანი, რომელსაც არა აქვს არხიმანდრიტის ხარისხი, ხოლო თეთროსანი სამღვდელოებისგან მღვდელი, მაშინ თანამდებობაზე დამტკიცების დროს, პირველს ეძლევა არხიმანდრიტობა, უკანასკნელს კი დეკანოზობა.

§ 25. Რექტორს, როგორც უმახლობელეს უფროსს, სემინარიისას, ემორჩილებიან ყველა მისი (სემინარიის) თანამდებობის პირნი

§ 26. Გარდა სამსახურისა სემინარიაში რექტორს არ შეუძლია დაიკავოს არავითარი სხვა თანამდებობა.

Შენიშვნა: თუ სემინარია იმყოფება მონასტერში, მაშინ რექტორს (არხიმანდრიტს) შეუძლია იყოს ამასთანავე წინამძღვრათ იმ მონასტრისა. გარდა ამისა რექტორს აქვს უფლება იყოს უსათუო წევრად კომიტეტთა, რომლებიც განაგებენ ქალაქის და საზოგადო წიგნთ საცავებს და იყოს თავმჯდომარედ ეპარქიის თანაგანზრახვითის კომიტეტისა შესახებ საეკკლესიო სამრევლო სკოლებისა.

§ 27. Რექტორის უმთავრესი ყურადღება უნდა მიქცეული იყოს სასწავლო ნაწილზედ.

§ 28. Ასწავლის რა საღმრთო წერილს მე-VI კლასში, რექტორი დამოუკიდებლად ამისგან, ვალდებულია: რაც შეიძლება ხშირად, ნახულობდეს კლასებს, აკვირდებოდეს მიმართულებას და საშუალებებს სწავლებისას, თვალყურს ადევნებდეს ნამდვილს აღსრულებას დამტკიცებულის პროგრამებისას, თავის დროზედ დასრულებას მათ მიერ დადგენილის კურსებისას თითოეულს კლასში, ყურადღებას აქცევდეს საგნების წარმატებით გავლას და პიროვანის გავლენით მიმართავდეს შრომას მასწავლებლების სემინარიის განათლების საერთო მიზნის მიხწევისადმი.

§ 29. Რექტორი აქცევს მზრუნველობითს ყურადღებას სემინარიის დაწყობილობის სხვა ნაწილებსაც, ადევნებს პირად თვალ-ყურს წესდებათა აღსრულებას შესახებ მოსწავლეების რელიგიურის, ზნეობითის და ფიზიკურის აღზრდისა, ავათმყოფების შენახვისა და ექიმობისა, გარეგანის წესის დაცვისა და წესიერებისა სამეურნეო ნაწილში.

§ 30. Რექტორი, როგორც თავმჯდომარე სემინარიის სამმართველოისა, ნიშნავს დროს მისი სხდომებისას, წარმოადგენს განსახილველად თავის საკუთრობელს აზრებს, იცავს რიგს სხვა წევრთაგან შემოტანილის კითხვების განხილვის დროს, თვალყურს ადევნებს სხდომების კანონიერებას და წესს, ჰკრებს ხმათა, გამოთქმულის აზრების ძალით წარმოადგენს პროექტებს განჩინებათა და, ჟურნალზე ხელის მოწერის შემდეგ. შვრება განკარგულებებს თანახმად ამა წესდებულების §§ 106 და 167.

§ 31. Რექტორი ითხოვს ყველა თანამდებობის პირთაგან მტკიცედ აღსრულებას მათ მოვალეობათა; საჭირო შემთხვევებში იძლევა შთაგონებათა და შენიშნვათა, ხოლო თუ ამ ზომებით ვერას გახდა, მოახსენებს ეპარქიის არქიერს.

§ 32. Ყველა საჩივრებს სემინარიის შესახებ, სიტყვიერს თუ წერილობითს, რექტორი. მიხედულობისა მებრ მათისა უაღრესობისა, ან სწყვეტს თავისი საკუთარის უფლებით, ან შეაქვს განსახილველად სამმართველოისა.

§ 33. Თითოეულის თვის გასვლის შემდეგ, რექტორი წარუდგენს ყოვლად სამღვდელოს მოკლე ცნობებს სემინარიაზედ, ხოლო შესანიშნავს შემთხვევებზედ მოახსენებს მას დაუყოვნებლივ.

§ 34 Თითოეული სასწავლო წლის შემდეგ, რექტორი ადგენს შესახებ სასწავლო და ზნეობითის ნაწილებისა ვრცელს ანგარიშს, რომელსაც, სამმართველოს მიერ განხილვის შემდეგ, წარუდგენს ეპარქიის არქიერს.

§ 95. Რექტორი სემინარიაში მოსამსახურებს უშვებს სასწავლო დროს ვადით არა უმეტეს თოთხმეტის დღისა, უკიდურესი საჭიროების დროს.

§ 36. Იგი შედის წარდგინებით ყოვლად სამღვდელოსთან სემინარიის მოსამსახურე პირთა დაჯილდოებაზედ, რომელნიც მისის შეხედულობისა მებრ ღირსნი არიან მთავრობის განსაკუთრებითის ყურადღებისა.

§ 37. Სემინარიის ყველა საქმეების შესახებ რექტორი, კუთვნილებისა მებრ, მართავს მიწერ-მოწერას სხვა და სხვა პირებთან და ადგილებთან, გარდა უმაღლესთა, რომლებთანაც მიწერ-მოწერა სწარმოებს არქიერის სახელზედ, საზღვართა შორის მისი უფლებისა.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არა ოფიციალური ნაწილი.

### საზოგადო ეპარქიალური შეკრებილება მთელი ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელო დეპუტატთა ქ. თბილისში.

ეს საზოგადო ეპარქიალური შეკრებილება დანიშნული იყო წარსული წლის ნოემბრის ოცდა ათს რიცხვს, მაგრამ რადგან მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი არხიეპისკოპოსი პავლე, მიტროპოლიტის ისიდორეს ორმოცდა ათი წლის იუბილეის დღესასწაულობისა გამო, პეტერბურგში წაბრძანდა და დანიშნულ რიცხვს თბილისში არ ბრძანდებოდა, ამისთვის ეს შეკრებილება გადაიდვა წარსული თვის იანვრის 15 სთვის. 15 იანვარს თითქმის ყველა კუთხეებიდამ გამოცხადდენ დეპუტატები. პირველსავე დღეს აირჩიეს თავსმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატები. რამდენიმე კანდიდატებში თავსმჯდომარედ იყო ამორჩეული ბორჯომის ბლაღოჩინი დეკანოზი იოსებ სიმონოვი.

საქართველოს ექსარხოსის არხიეპისკოპოსის პავლესაგან ამ შეკრებილებას ჰქონდა მიცემული ძლიერ შესანიშნავი და საყურადღებო კითხვები განსასჯელად და გარდასაწყვეტად. რომ სამღვდელოების დეპუტატებს ამ შეკრებილებაზე საფუძვლიანი მსჯელობა ჰქონოდა მიცემულ წინადადებაებზე, საქართველოის ექსარხოსმა ვალად დაუდგინა სამღვდელოთა, რათა მათ მოეხდინათ წინდაწინ საბლაღოჩინო მაზრებში შეკრებილება ყველა სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთა; ამ ყრილობაებზე მოეფიქრებიათ კარგად მიცემულ კითხვებზე, შემდეგ აღერჩიათ დეპუტატები და ასე დამზადებულნი წარმომადგენელნი გაეგზავნათ საზოგადო ეპარქიალურ შეკრებილებაზე. ეს განკარგულება საქართველოს ექსარხოსისა მართლა ძლიერ სასარგებლოდ დარჩა. არასოდეს არც ერთი სამღვდელოების შეკრებილებაზე ჩვენ არ გვინახავს ამისთანა გამოცდილნი დეპუტატნი. თითქმის ყველას ერთ ნაირად ემჩნეოდა მტკიცე და საბუთიანი მსჯელობა იმ უმთავრესი კითხვების ახსნაში, რომლებიც მათ ჰქონდათ წარმოდგენილნი გარდასაწყვეტად.

ამასთან არ შეგვიძლია ქებით არ მოვიხსენოთ კრების თავსმჯდომარე მამა დეკანოზი იოსებ სიმონოვი, რომელიც მშვენიერად ასრულებდა თავმჯდომარეობის მოვალეობას. ეს შეკრებილება სამღვდელოებისა შესანიშნავია როგორც სასულიერო მართებლობისაგან მიცემული წინადადებაებით, აგრეთვე ამ წინადადებათა სამღვდელოების მიერ ახსნით და გარდაწყვეტილებით.

ჩვენ მხოლოდ საზოგადოდ გადავავლეთ თვალი ამ სამღვდელოების უკანასკნელ შეკრებილებას და მის მოქმედებას და ამ შეკრებილების დაწვრილებითი ანგარიში იქნება დაბეჭდილი შემდეგ №-ში.

---

## მცირე შენიშვნა.

(მუქთი გაზეთის ხელის მომწერლების საყურადღებოდ).

ხშირად მოგვდის ხოლმე წერილები სხვა-და-სხვა მაღალი სასწავლებლების მოსწავლე სტუდენტთაგან, რომ მათ გაეგზავნოს გაზეთი მუქთად, რადგან იგინი ღარიბნი არიან და იმდენი ფულები არა აქვსთ, რომ გაზეთი გამოიწერონ. ჩვენ დიდის კმაყოფილებით ვასრულებდით ამისთანა თხოვნებს და კიდეც ვასრულებთ, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ხსენებული სტუდენტები—ეს სამშობლოს სანუგეშო და სასიქადულო შვილები—თავის მხრით მთლად ამართლებდენ ჩვენს მოლოდინს. ჩვენ ძლიერ მოხარული ვართ, რომ იმათ სურთ სამშობლოს ჟურნალ-გაზეთების კითხვა; ეს ამტკიცებს, რომ მათი გული დაახლოვებულია მამულის ინტერესებთან და მოსწრაფებაებთან. ავადმყოფის მდგომარეობაზედ ყველაზე უფრო ხშირად და თანაგრძნობით უმახლობელესი ნათესავნი და მეგობარნი კითხულობენ და ამბავს ტყობულობენ. თვალიც შორს, გულიც შორსო, არ გვეთქმის შორეულს ქვეყანაში ჩვენ ძვირფას მოსწავლე ახალ-გაზდობაზე. მაგრამ მარტო ამბავის კითხვა, ლიტონი თანაგრძნობა არ კმარა: „მკვდარ არს სარწმუნოება თვინიერ საქმისა.“ სტუდენტებიდგან, რომელნიც, მადლობა ღმერთს, მცირე წლოვანნი აღარ არიან და „მოწიფულობის ატესტატიც (аттестатъ зрѣлости) ხელთ უპყრიათ, მეტი ითხოვება: ისინი აქედამვე უნდა ეჩვევოდენ, ცდილობდენ სამშობლო ენაზედ გამოთქმულის თავიანთის აზრების შეტანას და გავრცელებას სამშობლოში, სადაც გაუნათლებლობისა გამო, უმეტესობა აუცილებლად საჭიროებს განათლებული კაცის რჩევა-დარიგებაში. ეს მათ ადვილად შეუძლიათ მოახერხონ იმავე გაზეთების საშუალებით, რომელნიც მუქთად ეგზავნებათ. მათი ამ გვარი თანამშრომლობა დიდს სარგებლობას მოუტანს თვითონვე მათ. იგინი სასწავლებლის სკამზედვე მიეჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიან სამშობლოზე ფიქრს, ზრუნვას და მეცადინეობას; იქავე განისაზღვრენ, თუ ვის რით და როგორ შეეძლება მომავალში მამულის სამსახური, იქვე დაახლოვებით გაეცნობიან სამშობლოს მდგომარეობას, მის წყლულებსა და სატკივარს, რათა, ასპარეზზედ გამოსვლის დროს, მათ გარკვევით იცოდნენ, რაზედ უნდა მიმართონ თავიანთი მოქმედება და შრომა. იქნება, ამაზედ მათ გვიპასუხონ, რომ ისინი წერასა და თავიანთის აზრების გამოთქმას სწავლის შესრულების შემდეგაც მოასწრებენ, ჯერ იმათ სამშობლოზედ ფიქრისთვის არ სცალიანთ. ბევრიდგან გაგვიგონია ჩვენ, როცა ისინი ჯერ კიდე სტუდენტებად იყვნენ, ამ გვარი თავის გამართლება, მაგრამ დღეს მათ ყველას თბილი კუნჭული მოუნახავს ქვეყანაზედ და ფეხებზედ ჰკიდიათ სამშობლო და მისი ალიან ჩალიანი. ამ გვარის მოქმედების საბუთად ეხლა ისინი გვეუბნებიან: სტუდენტებად რომ ვიყავით, სული გვძრებოდაო სიღარიბით და ეხლა თუ რიგიანად ხელი არ მოვითბეთ და არ გავმდიდრდით, ისე არავის დახმარება არ შეგვიძლია, ნუ დაგვემდურებითო; აი გავმდიდრდებით და მაშინ ნახავთ, თუ რა მეცნიერნი და პუბლიცისტნი ვყოფილვართო. კიდევაც მდიდრდებიან, მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ მათ ქვეყანაზედ სწავლა-ქადაგება დაეწყოსთ: სიმდიდრის მაძიებელმა კაცმა ნეტა რა უნდა იქადაგოს, თუ არ ქვეყნის ყლაპვა-ჭამიაობა. რა მიზეზია, რომ ჩვენ ასე ღატაკნი ვართ მწერლებით და საზოგადო მოღვაწეებით, თუმცა ნასწავლი და განათლებული პირები გვარიან ბლომათა გვყავსთ. სხვა არაფერი გარდა იმისა, რომ ამ ვაჟბატონთ თავის დროზე, ე. ი. სწავლის დროს, მინამ მთლად დამწიფდებოდნენ, ყურადღება არ მიუქცევიათ თავის თავის მომზადებაზე სამშობლოის სამსახურისათვის, რომელიც, რასაკვირველია, არც სიმდიდრეს და არც სხვა რამე წუთიერს კმაყოფილებას არ პირდება კაცს. იქნება ჩვენმიერ ნაჩვენებ ნასწავლ პირთაგან ბევრს გულით და სულით დღესაც სურდეთ მამულის სამსახური და საზოგადო მოღვაწეობა, მაგრამ რა ქნან, რომ სულ სხვა გვარ ჩვეულებას, სხვა გვარ არა მაღალის ღირსების ინსტიკტებს უპყრიათ მათი ნების ძალა. ამიტომ ადრითვე ვურჩევთ ჩვენს სტუდენტებს, რომ მათ დროითვე გახსნან თავიანთი გონების საუნჯენი და გააცნონ თავიანთ აზრთა და ლტოლვილებაებთან თავიანთი თანა მემამულენი.

რედაქტორი.

# საისტორიო მასალა. *)

## ალავერდის სობორო.

ეს სობორო პირველად ყოფილა აღშენებული სახელსა ზედა წმიდისა მთავარ მოწამის გიორგისა, მაგრამ როდესაც კახეთის მეფეს ლეონს მიუღია იერუსალიმის პატრიარქის გერმანოზისაგან ნაწილი ცხოველს მყოფელის ჯვარისა და ხალხსაც უწყია სიარული 14 სეკტემბრისათვის, ამისათვის საქართველოს ექსარხოსს იონას მაღლა ხორაზედ გაუკეთებინებია სამწირველო წმიდის გიორგის სახელობაზედ და ტაძარი ალავერდისა უკურთხებია ჯვარის ამაღლების სახელობაზედ. სადაც ეხლა ეს სობორო სდგას, ამ ადგილს აუშენებია ეკკლესია ერთს ათცამეტ ასურელთ მამათაგანს, სახელით იოსებს, მეექვსე, საუკუნეში. კახეთის მეფეს კვირიკეს მეცხრე საუკუნეში სიძველის გამო დაუქცევია ის და ამავე ადგილზედ აუშენებია ეს მშვენიერი ტაძარი, რომელიც დღევანდლამდინ იმავე სახით იმყოფება. გუმბათი ამისი ჩამოქცეულა 1530 წელში და შემდეგ მეფე ლეონს 1740 წელში დაუდგმევინებია.

კანკელი ამა ტაძარში ფიცრისაა, მაღალი და მშვენიერი, რომელიც არის გამოგზავნილი მოსკოვიდგან არხიეპისკოპოზის დოსითეოსაგან და უკანასკნელის საქართველოს მეფის ძის ირაკლისაგან.

სობოროსა ამას აქვს სიგრძე სამოცდა ათი, სიგანე ოცდა თვრამეტი და სიმაღლე გუმბათით ოთხმოცდა თექვსმეტი ალაბი.

---

*) ჩვენ ეს საისტორიო მასალა მივიღეთ პატივცემული მღვდლის მამა მიხაილ ხელაევისაგან შემდეგი წერილით: „უწმიდესის სინოდის უქაზის ძალით 22 ფებერვლიდამ 1877 წ. № 2 უნდა შემოწმებულიყვნენ საქართველოს მონასტერნი, შესანიშნავი სობოროები და ეკკლესიები თავიანთ ნივთებით და ძველი განძეულებით. ამ უქაზის აღსასრულებლად საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორისაგან იყო დანიშნული ოთხი კომმისია თავსმჯდომარეობით არხ. მ. მ—სა. ამ კომისიის წევრების რიცხვში მეც მოვხვდი ერთად. ბევრი რამ შესანიშნავი ნივთეულება და ძველი წარწერილობანი ვნახე და მსურს განუზიარო „მწყემსის“ მკითხველებს, თუ თქვენც, ბ. რედაქტორო, ნებას მოგვცემ და ჩემს ნაწერს ადგილს მისცემთ თქვენს პატივცემულ „მწყემსში.“

მღვდელი მიხაილ ხელაევი.

გულითად მადლობას განუცხადებთ პატივცემულ მამა მიხაილ ხელაევს ამ სტატიის გამოგზავნისათვის და იმედი გვაქვს, რომ სხვა კომისიის წევრებისაგანაც მივიღებთ ამისთანა საინტერესო ცნობებს ჩვენს მონასტრებზე და ეკკლესიებზე.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაძარსა ამას შინა განისვენებენ: გარეთ, საკურთხეველისა მარცხნივ, ღირსი მამა იოსებ, ხოლო შიგნით, საკურთხეველში, დიდს ტრაპეზს ქვეშ ნაწილნი წმიდის მოწამის კახთა დედოფლის ქეთევანისა, რომლის ცხოვრება არის აწერილი შვილისა მისისა თეიმურაზ პირველისაგან და სხვათა მრავალთაგანაც.

ქეთევანი ყოფილა ბაგრატოვანთ გვარისაგან და შვილის შვილი კონსტანტინე მეფისა და ამასთან მშვენიერი სახისა, სწავლული სარწმუნოებითა, სწავლული სამღვდელო წერილითა, მომგები სათნოებათა, ქალწული მორცხვი, ბრძენი კეთილ გონიერებისა ხმევითა, ქალი ნარნარი და მხნე კეთილთა მოქმედებათადმი, ყრმა მშვენიერი და უმშვენიერესი მიმადლებულებითა *). ეს მიეთხოვა ცოლად დავით კახეთის მეფის ალექსანდრეს შვილს და შვილის შვილს დიდის ლეონისას.

მარჯვნივ მხარეს კანკელისაარის დადგმული ხატი ალავერდის წმიდის გიორგისა მოოქრული ოქროთი, რომელსაცსიმაღლეაქვს ოცი გრე და სიგანე ათი გრე (გოჯა). გვირგვინში უსხედს ერთი თეთრი ქვა, ორმოცი იაგუნდი, რვა მომახვილო და თექვსმეტი მოსაშუალო ზურმუხტი; რვა მსხვილი მარგალიტი და თექვსმეტი მოსაშუალო ფირუზი; გვირგვინს გარეშემო ას ორმოცდა თორმეტი ფირუზი უზის. გულზედ ჯვარი აქვს, რომელშიაც სხედს თხუთმეტი იაგუნდი, ერთი ლალი, შვიდი მარგალიტი (ერთი აკლია), ოთხი წვრილი ფირუზი და ერთი საშუალო ლალი. ყელს ქვეშ ხამი მარგალიტი და ოთხი წვრილი ფირუზი უზის, ხელში უჭირავს ჯვარი, რომელშიაც სხედს თექვსმეტი ზურმუხტი და ოთხი იაგუნდი, ჯვარის ბოლოს ერთი საშუალო იაგუნდი უზის. მარცხენა მხრივ სხედს ორი მოზდილი და სამი საშუალო იაგუნდი და ამათ ქვევით ერთი ოთხკუთხი ქვა ზის თეთრის ფერისა, რომლის წოდება არა ვუწყი და ცხრამეტიც წვრილი ფირუზები.

ეს ხატი არის შეწირული პატრიარქის ნიკოლოოზ ჩოლოყაშვილისაგან **) ქორონიკონს უთ (1721 წ.)

ამა ხატსა აქვს ფერხთა ქვეშ ესრედი წარწერა:

ჩვენ ღვთისა მიერ კურთხეულმან ჩოლოყაშვილმან ამბა ალავერდელმან პატრიარხმან ნიკოლოოზ, მრავლითა გულს მოდგინებითა და ფრიად თანა საფასეთა წარგებითა მოვაჭედინეთ ხატი ესე წმინდის გიორგის ალავერდისა; და კვალად ამისა შემდგომად ლორფინითა დავაფარეთ. წინა სამხრო ქვითა და დაბალნი სამხრონი ურთხელის ფიცრითა და სოფელი ოზოლიძე ოხერი ავაშენე; მეორე გვირგვინი მძიმეთ ქვითა და ოქროთი შევამკევით; და სახარება მოვაჭედინე ოქროთი სრულიად; და გალავანი დარღვეული განვაახლე მეფობასა დავითისსა (იმამ-ყულიხანისა) ქორონიკონს უთ. შენდობა ჰყავთ ჩვენთვის უფალნო.

ამა ზურგზედ, რომელიც ვერცხლით არის მოჭედილი, აქვს ესრედი წარწერა:

ღვთქმული უტყუარის პირისაგან მარადის აღსრულებულ არს სათნოსა ზედა თვისსა, რომელი შესდგომიეს ნებასსა მისსა. და ესე არს მარადის მადიდებელისა მისისა მისგან დიდება; ხოლო შენ წმინდაო მხედარო ქრისტეს მოწამეო გიორგი და სხვათა მოწამეთა შორის სიმხნით გამომსატველო ვნებისა მისისა, რომელი შეუდგ ნებასა მისსა. და ადიდე რა იგი ვნებითა შენითა, მანცა გადიდა მრავალფერთა სასწაულ მოქმედად, რათა სარწმუნოებით და სასოებით მოსრულნი შენდა და შევედრებულნი შენნი მიიღებდენ შენ მიერსა კურნებასა, სულიერსა და ხორციელისასა, და მეოხებითა შენითა კეთილად წარმართებასა ცხოვრებისასა აქა და მერმესაცა საუკუნესა, რომლისა გამო მორწმუნეთაგან შენთა, მარადის იდიდებოდე და იგალობებოდე დღესასწაულობითითა დიდების მეტყველებითა და დაუვიწყარითა მისდამი მადლობითა, რომელი საკვირველ არს შენ შორისცა წმინდაო. ხოლო ამან საკვირველმან და ზესთა მიუწდომელმან სახიერმან, წმინდაო, მთავარ-მოწამეო გიორგი, ჰყო აწცა შენ შორის საკვირველებისა გამოჩინება და სოფლისა დასაბამიდგან ვიდრე აქამომდე შვიდი ათასსამას მეხუთესა წელსა და მისვე წელიწადს ათას შვიდას ოთხმოცდა ათჩვიდმეტსა, შემდგომად თვისისა გამოუთქმელისა განხორციელებისასა, და თთვესა ივნისსა ათორმეტსა, დღესა პარასკევსა, გამოჩნდა ჩვენდამო სასწაულისა განცხადებითა, და წმინდასა ამას დიდსა ეკკლესიასა შინა, ჩვენ მყოფთა და შენ პირმშოსა ხატისა ამის წინაშე მდგომარეთა, და კრძალვისა ამისთვის და სხვათათვისცა წმინდათა საუნჯეთა განმზრახველთა, და განმზადებულთა და მიიფარვად სხვად ადგიდ წასვლისათა, გვასმინა ხმა განსაცდელთაგან ხსნისა, და ხმა თავისუფალ ყოფისა ლიმენასა შინა შვებისასა, ხოლო ესე გვარისა დიდებისა და შემწედ მეოხად ჩვენდა შემძლებელ ყოფისა

*) ანტონი ქათალიკოზის წერილობანი.

**) იყო სხვა ნიკოლოოზიც გვარათ ისევ ჩოლოყაშვილი არხიდიაკონი, რომელიც მოიხსენების ირაკლი პირველის აქტში, დაწერილის 1676 წ., როდესაც ყოფილა ისპალანს. ესევე უნდა ყოფილიყოს მთავარ-ეპისკოპოსად ალავერდში, რომლის შუამავლობითაც აღყვანილიყო ქათალიკოზად იოანე დიასამიძე 1695 წელში.

შენისა მხილველმან და მსასოებელმან შენმან და ქრისტეს ეკლესიისა და ტაძრისაცა ამის შენისა ხარისხსა მჯდომარემან, მე უკვე სრულიად საქართველოისა მეფის ირაკლის მეორისა ძემან კათოლიკოს პატრიარხმან და ალავერდელმან ანტონიმ. ვისურვე შენ პირმშოსა ხატისა ამის შენისა შემკობა ზურგსა ამას ზედა, რომელმან არა ჰრიდე ყოვლად განწმედილი ზურგი და მრავალ კრძონი შენნი სხვა-და-სხვა ფერთა სატანჯველთა, რომელმან ესე ჰყავ ტროფიალებითა, ქრისტესითა, და ვერ გრძნობდი ტკივილთა, არამედ უტკივრად ჰგიებდი, ამას შინა რომელსა გადიდებთ მოსავნი შენნი და გევედრებით აწ, მეოხ გვეყავ, და მეოხებითა შენითა ვიხსნენით განსაცდელთაგან, ეგრეთვე მდგომსაცა ჟამსა ნუ უგულებელს გვყოფ მეოხებისაგან შენისა, რათა არა მოვაკლდეთ დაუსრულებელსა (ნეტარებასა) ცხოვრებასა, არამედ გადიდებდეთ შენ მადიდებელნი და მმადლობელნი ღვთისანი, რომელისაცა მოუკლებელსა ჰხედავ დიდებითა გამობრწყინვებასა აწ და უკუნისამდე. მომჭედი ამისი გაბრიელ.

2. ხატი ღვთის მშობლისა, რომელიც დადგმულია თავზედ ამ წმიდის გიორგის ხატისა, არის მოოქრვილი ოქროთი, გარეშემო მთლად ყელი და გვირგვინი სულ საშუალო მარგალიტით არის მოჭედილი. გარდა ამისა საშუალო უზის ერთი წითელი და მრგვალი მოზდილი იაგუნდი და ოცდა სამი მოწვრილო იაგუნდი და ოცდა ოთხი მომსხო ფირუზი (ამათში ერთი გატეხილია და ერთიც აკლია). უკანა ზურგი მოოქრული ვერცხლით არის მოჭედილი. ზურგზედ აქვს წარწერა:

შენდამი დაგვიც ყოველი სასოება ჩვენი უხრწნელო ღვთისმშობელო ქალწულო მადიდებელსა ამას შენსა მეფესა ალექსანდრეს და დედოფალსა თინათინს, მცველ-მფარველ ექმენ ორთავე ცხოვრებასა; ქუჩა-უბანისა ღვთის მშობლისა ხატი ეს მოვაჭედინეთ ოქროთი და შევამკევით თვალითა და მარგალიტითა, ჩვენ დედოფალმან პატრონმან თინათინ, მეფის პატრონის ალექსანდრეს სადღეგრძელოდ, განსამარჯვებლად და მეფობისა მისისა წარსამართებლად, მეოხ, მფარველ და შემწე ექმენ ქუჩათუბნის ღვთისმშობელო მეფესა პატრონსა ალექსანდრეს და ადღეგრძელე და ყოველნი მტერნი მისნი დასცენ.

3. ხატი წმიდის გიორგისა, წოდებული „ბოჭორმის წმიდა გიორგიდ", არის დასვენებული მარცხნივ კანკელისა, რომელიც არის მოოქროვილ ვეცხლით შეჭედილი, გვირგვინში სხედან სამი წითელი იაგუნდი, ერთი ზურმუხტი და ერთი ლურჯი ფერის იაგუნდი, ოცდა ოთხიც მომსხო მარგალიტი, მარცხნივ უზის ერთი იაგუნდი მსხვილი და მომრგვალო, ამის ქვევით ჩასხმულია ორი ზურმუხტი, ერთი წითელი ლალი და ორი ლურჯი იაგუნდი და ერთიც საშუალო მარგალიტი, მხრებზედ ორი იაგუნდი და ორი ფირუზი უზის. სარტყელი აქვს ცხრა ზურმუხტისაგან, რვა ლურჯის იაგუნდის და ორის წითელის იაგუნდისაგან შექმნილი. ამაშივე არის მთელი ბეჭი ამა წმიდისა.

ფეხს ქვეშ აქვს შემდეგი წარწერა:

შენ მოწამეთა მხედართ მთავარის წმიდის გიორგის ხატი ესე შევამკობინე ბოჭორმის ეკლესიისა, სახსრად ჩემდა წინაშე შენგან ღვაწლდებულის ღვთისა, მეფის ძემან საქართველოს მემკვიდრემ და რუსეთის გენერალ ლეიტენანტმან და კავალერმან დავით, მფარველად მწადნელმან თავისა ჩემისამან, ჩყა სა წელსა, ქართულს ქორონიკონს უპთ. მჭედელი გაბრიელ.

4. ღვთისმშობლისა ხატი, რომელიც დადგმულია თავზედ, არის ოქროთი შეჭედილი. გვირგვინში უსხედს ერთი მსხვილი იაგუნდი, ოცდა რვა საშუალო და სამიც მომცრო, თერთმეტი საშუალო ზურმუხტი, თვრამეტი საშუალო და ოთხი მომცრო ფირუზი და ხუთიც მსხვილი მარგალიტი. ყელი აქვს მარგალიტით მოჭედილი, რომელიც ას ორმოცდა ექვსია რიცხვით.

უკან ზურგი აქვს ვერცხლით მოჭედილი და აქვს წარწერა:

ბრძანებითა ღვთისათა მართლ-მადიდებელი მეფეთ მეფე თეიმურაზ ოდეს მივიდა მოსკოვს დიდს რუსეთის ხელმწიფესთან, და მე იმის რძალს ელენეს დედოფალს დამიგდო ეს ხატი მხწრაფლ შემწისა ღვთისმშობელი, მოსაჭედად, და ცოტა რამ თეთრი დამიგდო და იქ ვეღარ მოვსჭედე, ჟამთა ვითარებისაგან ბევრი სასჯელი გარდამხდა, და წამოველ დიდის რუსეთის ხელმწიფისგან და მოველ შინ ხულეიმანთან ისპაანს და იქ მოვსჭედე, და ჩემმან შვილმან მეფემ ერეკლემ, თავისი ქუდი შესწირა თვლისა და მარგალიტისა, ხელმწიფის პაპის მეფეთ მეფის თეიმურაზის და თანა მემცხედრის ქართველთ მეფეთ ასულის დედოფალთ დედოფლის ხვარამზანის და მათის შვილის ბატონის დავითისათვის და მათის შვილის შვილის გიორგის მოსახსენებლად! შენ ყოვლად წმიდაო მხწრაფლ შემწისა ღვთის მშობელო, მოიხსენე, როდესაც მე შენი მოვიდეს დიდებით და შეეწიე და ნუ უგულებელს ჰყოფ ერეკლეს, სადღეგრძელოდ და მოსახსენებლად მისი ცოლით შვილით და ჩემის ქეთევან დედოფლის სადღეგრძელოდ და სახსენებლად და დასახსნელად მის ქმრისა და შვილისა, და ჩემის ცოდვილის შემწედ სულის აღმყრობელად და დასახსნელად; შენ წმიდაო ღვთის მშობელო ნუ დამივიწყებ და შეიწირე ეს ჩემი ჭირნახული და ნუ დაგვიტევებ ობლად; მოიჭედა ესე ხატი ენდრონიკაშვილის ჟამში, ვინც ჩემის შვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილის მეტმან წაიღოს ამ წმიდის გიორგის ალავერდიდამ, ჯერ რისხავს ღმერთი და წმიდა ღვთის მშობელი და დიდი წმიდა გიორგი და იუდამცა იქნების ამინ.“

სალაროში არიან დაცულნი შემდგომნი ხატნი:

1. ჩაწილებიანი ხატი მაცხოვრისა არის მოჭედილი ოქროთი, სიმაღლით **13** და სიგანით **7** გრე აქვს. გვირგვინში უსხედს ერთი დიდი ფირუზი, ერთი დიდი, ხუთი საშუალო და ოცდა ხუთი წითელი იაგუნდი, სამი მსხვილი მარგალიტი და ოცდა თორმეტი საშუალო და წვრილი ფირუზები. გარეშემო გვირგვინისა ორმოცი მოწვრილო მარგალიტი, ოცდა ცხრა წითელი იაგუნდი და ოცდა თორმეტი ფირუზი და ერთი დიდი იაგუნდი უზის საშუალ ზურგზედ. აქვს წარწერა:

„ქრისტეო დაუსაბამოო, უწინარეს მთიებისა მამისაგან შობილო, ბუნებით თანასწორო სიტყვაო მამისაო და მეო ქალწულისაო, ღმერთო სრულო გვამითა და სახითა, ამისთვისცა ვაცებრიხა შენისა პირმშოხა ხატიხა ამის სახოებით და სურვილით მადიდებელნი მეფე ლეონ და თანა მემცხედრე დედოფალი თინათინ გევედრებით, რათა ხელი აღგვიპყრა და წარგვიმართო მეფობა ჩვენი, და მერმესა მას, რაჟამს მოხვიდე განსჯად ყოველთა, არა შეგვრაცხო მარცხენეთა თანა, არამედ გვასმინე ხმა იგი, ვითარმედ მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენო თქვენ, რამეთუ შენ უწყი შენდა მინდობილნი ვართ ამინ.“

მღ. მ. ხელაევი.

(გაგრძელება იქმნება).

## კათოლიკოზი ანტონი II.

(გაგრძელება).

## 1800—1811 წ.

იმპერატორის პავლეს მანიფესტი საქართველოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლაზე გამოცხადებულ იქმნა მოსკოვში და იმპერატორის ბრძანებით მანიფესტი იგი მოიტანეს საქართველოდ გიორგი ავალიშვილმა და ელიაზარ ფალავანდისშვილმან. ტფილისში საქართველოს განმგემან გენ. კნორინგმა შეჰყარა სამღვდელოება, თავადნი, აზნაურნი და ტფილისის სიონის ეკკლესიაში მანიფესტი იგი კათოლიკოზმა ანტონიმ წააკითხა არხიმანდრიტს ტრიფილეს. შემდგომად წაკითხვისა ხელი მოაწერეს ფიცით აღთქმაზე. რომელიც რუსულად და ქართულად წინადვე იყო დაბეჭდილი პეტერბურღში. ფიცით აღთქმაში გამოცხადებული იყო ქვეშევრდომობის მიღება და ერთგულება რუსეთის იმპერატორისა. ამ აღთქმაზე ხელი მოაწერეს, სხვათა შორის, კათოლიკოზმან ანტონიმ, მთავარ-ეპისკოპოსმან იუსტემ, ტფილელმან არსენიმ, ბოდბელმან იოანემ, რუსთველმან სტეფანემ, წილკნელმან გერასიმ, ნეკრესელმან ამბროსიმ, მუხრანის ბატონმან კოსტანტინემ, სარდალმან იოანე ორბელიანმან, სარდალმან ზაალ ბარათაშვილმან, აბელ ჩოლოყაშვილმან და სხ. (ცხოვ. გიორგი მე **XIII** გვ. **300**). ამ დროს აქ დაესწრნენ რუსთა ღენერალნი: კნორინგი, ლაზარევი, გულიაევი, კარიაგინი და კოვალენსკი და აგრეთვე **10 000** რუსის ჯარის კაცი (ცხოვ. გიორგისა გვ. **300**).

პავლე იმპერატორის მანიფესტი:

„წყალობითა ღვთისათა ჩვენ პავლე პირველი იმპერატორი და თვით-მპყრობელი ყოვლისა როსსიისა და სხვათა.

ადრიდგან დროთაგან საქართველოსა სამეფო შეწირვებულიყო უცხო თესლთაგან. რომელთაცა მეზობლობით განელიათ ძალი დაუცხრომლითა ბრძოლითა საკუთრითა დამცველობისა თავისა თვისისათა და განმხილველნი განუწყვეტელობისა შემდგომილება აქვნდათ უბედურად. ამასთანავე შეერთდა უთანხმოება სახლსა შინა სასამეფოსა საშუქროთ სრულ ყოვლად დაცემისა სამეფოსა და ამისდა იშვა ერთი ერთ-არს შორის ბრძოლაი. მეფემან გიორგი ირაკლის ძემან იხილა მოახლოვება დასასრული დღისა თვისისა. ჩინებულნი გვამნი და თვით ერი საქართველოსა მოლტოლვილი იქმნეს საფარველსა ქვეშე ჩვენსა და არა რაიმე განიხილეს განრინებისათვის თვისისა დაუსრულებელისაგან წარწყმედისა და დამორჩილებისადმი მტერთა თვისთა, ითხოვეს წარმოგზავნილთა მიერ ელჩთა სხვისა ძალისა მქონებელთაგან უსაშვალოდ მონება იმპერატორისა ყოვლისა რუსეთისა ტახტისა. ამისთვის ყურად-ვიღებით თხოვა მათი მებრ თან-შობილისა მოწყალებისა ჩვენისა ერთ-მორწმუნეთა ერთა ზედა და სამარადისოდ ზრუნვისა სარგებლისათვის საქართველოსა ერთასა, განვსაზრეთ ჩვენ აღსრულება სურვილისა მეფისა გიორგისა ირაკლის ძისა და ერისა თვისისა. და ამისთვის ვბრძანეთ რაოდენ დაპყრობისთვის შინაურისა დაწყნარებისა, ეგოდენ გარე მოზღუდვისათვის მისვე გარეგანთაგან დაცემათა და ვუბრძანეთ შეყვანება მხედრობისა ჩვენისა საპყრობელისა საქართველოსა და ამით გამოუცხადეთ იმპერატორულისა ჩვენისა სიტყვითა, ვითარმედ შეერთებისა ზე სამეფოსა ქართლისასა საუკუნებითითა დროთა მპყრობელობასა ქვეშე ჩვენსა. არა თუ ოდენ დატყვევებულ იქმნებიან (საყვარელ სიმრავლესა შინა დაცვისა ჩვენისასა კანონნი მათნი) საყვარელ სარწმუნოებითა ახალი ყმანი ჩვენნი სამეფო ქართლოსი და სამფლობელონი მისნი, არამედ წარმატებულება და საკუთრად ჰსჯუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიერი თვითეული შესაბამობა, რომლისაგანცა თვითეულისა დროსა დანიშვნილება შემდგომილება ერისა სამფლობელოსაცა აქვს სარგებლობად ყოვლითა მით კანონითა, რომლითაცა რუსეთისა ძველნი ყმანი წყალობითა ჩვენთა წინაპართათა და ჩვენითა დატკბებოდენ თავისუფლებითა და წარმატებულებითა საქართველოსა ქვეშე ჩვენსა ხსვებრ ვეგებით რწმუნებულნი, ვითარმედ ესე ახალი ყმანი ჩვენი და შემდგომნი ძენი მათნი დაცულ იქმნებიან შეურყეველითა დარწმუნებითა ჩვენთა და მასყდრეთა ჩვენთაგან და ვიმედოვნებთ, რომელ იქმნებიან მცდელ ერთგულებისა ჩვენისა და სარგებლობისა იმპერიისა ჩვენისა ყოვლისა უმაღლესისა განზრახვითა და მონარხულისა კეთილ-მნებელობითა ჩვენისა. გამოცხადდა სანკტპეტერბურღსა შინა წელსა 1801 იანვრის 18 დღესა. წელსა მეფობისა ჩვენისა 5. დიდისა მაგისტრობისა ჩვენისა წელსა 3.. (იხ. ცხოვრება გიორგი XIII სა, გვ. 283-285.—თარგმანი ძველი დროისა.—ეხვე მანიფესტი დაბეჭდილია (რუსულად) ბუტკოვის წიგნში (ტ. 2, გვ. 466 467).

არც ეს ფიცი, არც მანიფესტი არც ერთს ერეკლის შვილს, გარდა ანტონისა, არ შეუწყნარებია. გავარდნილან საწინააღმდეგოდ რუსებისა და ხალხის ასაღელვებლად. ამასთანავე გავარდნილა აგრეთვე მეფის გიორგის ძე თეიმურაზი და იულონის ძე, ჯერედ ყრმა (10 წლისა), ლევანი. მეფის ძე ალექსანდრე ჯერ ძმის გიორგის სიცოცხლეშივე გასულა საქართველოდგან და ეს ყოფილა უმთავრესი მოწინააღმდეგე პირი ახალის მმართველობისა. თუმცა დარია დედოფალმა, ანტონი კათოლიკოსმა და მრავალთა სხვებმა დაიფიცეს იმპერატორის ქვეშევრდომობაზე, მაგრამ იდუმალად იგინი ყოფილან მტერნი რუსეთისა და იმათაც სხვა მეფის ერეკლეს შვილებთან ერთად უმოქმედნიათ, რათა ტახტი დაუბრუნონ ბაგრატიონთ შთამომავლობას (ე ჰაზრი მარტივად გამოსჭვივის იმ წერილებიდამ, რომელნიც განბნეულნი არიან „არხეოგრ. აკტების ტომებში: I, II, III, IV და მე-V ამ სათაურით: „Грузинскій царскій домъ“ და აგრეთვე ბუტკოვის წიგნში: матеріалы для новой исторіи Кавказа съ 1722 по 1803 г. მაგრამ ამ წერილში ჩვენ არ გამოუდგებით იმ მრავალ მნიშვნელოვან საგანს, რომელიც არის გამოხატვა იმ საყურადღებო ხანისა, რომელიც უეჭველად არის დრო უკანასკნელის მეფის გიორგის მეფობისა და მის მეფობიდამ 1811 წლ მდის, ესე იგი 1798 წ.—1811 წლამდის. ამ ხანში, როგორც ვიცით, სუსტად იმეფა მეფე გიორგი მე-XIII, საქართველო შეიყვანა რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობაში, ამ ხანშივე მოჰხდა დიდი შეთქმულებანი წინააღმდეგ ახალის მთავრობისა დი ამას მოჰყვა გადასახლება საქართველოს სამეფო გვარის წევრთა რუსეთში. ე გადასახლება თითქმის სრულიად დასრულდა 1811 წ. და ამიტომ უკანასკნელ წლიწადად ამ საინტერესო დროისა ჩვენ მივიღეთ 1811 წელი.

ამ დროს გამოსახატავად საჭიროა მოვიყვანოთ ცნობანი მეფის ძე ალექსანდრეზე, იულონზე, ფარნაოზზე, ვახტანგზე, ლევანზე, დედოფალ დარიაზე და სხ., აგრეთვე მაშინდელ ახალ მმართველობაზე, რომელიც ხშირად არა თუ ახალი მმართველობის დასანერგავად ილვწოდა, არამედ მავნებელი იყო ამ საქმისთვის ფრიად და ხალხში სთესავდა თესლსა უკმაყოფილობისასა და წინააღმდეგობისასა. *) ქველა ამ გვარი მასალები მრავლობით განბნეულნი არიან, სხვათა შორის, ზემორე აღნიშნულ წიგნებში და ელიან ჯეროვანს გამოკვლევასა და განხილვასა.

ჩვენ ამ ხელად, მიმდევარნი აღნიშნულის სტატიის სათაურისა, დაუტევებთ ყველა ამ დროის მომქმედ პირების ისტორიასა და, შეძლებისა და გვარად, გამოვკრებთ ცნობებს ანტონი კათოლიკოსზე და კმანი ვიქმნებით, თუ ოდნავ შუქს მოვფენთ ისტორიასა უკანასკნელის კათოლიკოზისასა, კათოლიკოზობის გაუქმებისასა და საექსარხოსოს დადგინებისას.

მოსე ჯანაშვილი.

## ლეჩხუმიდამ.

როგორც მოგეხსენებათ სოდომ-გომორი ძველათ ერთი წარჩინებული და ყოველ გვარად შემკული ქალაქი ყოფილა, რომელიც თავის გარეგანის მორთულობით და მცხოვრებლების სიმრავლით თავის თანა-მედროვე ქალაქებს შურის გრძნობებს ულვიძებდა თურმე. მაგრამ, საუბედუროდ ამ ქალაქისა, მარტო პირადი ინტერესებისა და პირუტყვულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიდევნამ ისე გაავსო ეს ქალაქი მრავალ-გვარის და მიუტევებელის ცოდვებით, რომ თვით დედამიწამ სამძიმოდ დაინახა მისი თავის ზურგზედ არსებობა, გახსნა პირი და ეს დიდი ქალაქი თვისის მცხოვრებლებით ქვესკნელში შთან-

*) ეს იყო, რომ კნორინგი და კოვალენსკი სირცხვილეულნი დაბრუნდენ რუსეთს, ბრძანებისამებრ იმპერატორისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქო. სწორედ ამნაირად ჩვენი მაზრის პატარა დაბა ლაილაში ამ რამდენიმე ხნის წინად თავის ზომაზედ როგორც ბუნებით, ისე სხვა მოწყობილობით ერთ კოხტა გაცხოველებულს კუთხეს წარმოგიდგენდა მნახველს. აქ ნახავდით როგორც ამ მაზრი სამართლის მომფენ და წესიერების დამცველ დაწესებულებაებს, ისე საექიმო დაწესებულებას, დოქტორს თავის ამალით, აფთიაკს თავის მრავალ გვარის წამლებით, სამაზრო სასწავლებელს თავის მოსწავლე ახალთაობით, *) ბულვარს ლამაზათ მორთულს სხვა-და-სხვა მცენარეებით, ვაჭრობას გაცხოველებელს და სხვა და სხვა. მაგრამ ამნაირი ბედი ხანგრძლივად არ არგუნა თავისმა სვემ ლაილაშს. სასამართლოების გადატანამ სოფელს ცაგერში ამ დაბასაც ის ულმობელი ხვედრი აწვია, რაც თავისმა უანგარიშო ცოდვებმა სოდომ-გომორს: დღეს ლაილაში დაქცეულ, და გატიალებულ ალაგის სურათს წარმოუდგენს ადამიანს. აქ შეწყვეტილია სიცოცხლის დუღილი. არც ერთი ზემოთ ნაჩვენები დამამშვენებელი, დამაპოხიერებელი და გამაცოცხლებელი საგნები ლაილაშს და მის მცხოვრებლებს აღარ გააჩნიათ. შენობები, რომლებშიაც იყვნენ მოთავსებულნი ყველა ზემოხსენებული დაწესებულებანი თავიანთი წარმომადგენელებით, ზოგი დაქცეულან, ზოგიც დაქცევაზედ არიან მიწევნილნი, ზოგიც, როგორც პატრონები ამბობენ, განზრახ დაუწვავთ ვილაც ბოროტ პირებს. ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლის ცხოვრების ერთ საუკეთესო წყაროს შეადგენდა სასამართლოების იქ არსებობა, სულთა ბრძოლ ადამიანს წარმოუდგენენ მნახველს. შეიძლება ვინმემ იკითხოს, თუ რა ისეთი დაახლოვებული ნათესაობა ჰქონდა თავიანთ ცოდვებით ლაილაშს სოდომ-გომორთან, რომ ასე ერთნაირი ხვედრი ეწვიათო. ამის პასუხს აქაური თავად-აზნაურობა აძლევს მკითხველს: მათის აზრით უმთავრეს ცოდვად იხსენიებენ იმ გაიძვერულ მოქმედებაებს, რომლითაც ამ დაბის მოვაჭრე ხალხი გამხდარა უმთავრესი საფუძველი აქაურის თავად-აზნაურობის უმეტესი ნაწილის მატერიალურის მხრით უკან დახევისა. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ რაც ზემოხსენებულს თავადობას გლეხების განთავისუფლების დროს უმაღლესად ნაბოძები ფულები მიუღიათ, სულ ამ დაბის მოვაჭრე ხალხს ჩაუგდიათ ხელში; და უმეტესი მათგანისათვის სულ ერთიანად აუფცქვნიათ, ზოგს განზრახ გაკოტრების ხერხით, ზოგს ახალ მოდურის ,,ატკაზებით,‘‘ და ზოგს საცხოვრებელის თუ ვექსილების სხვაზედ გარდაცემით. სამართალი თავისას როდი მოიშლისო, ნიშის მოგებით ამბობენ აქაური თავად-აზნაურობა, როდესაც ხედავენ მათის ფულებით აშენებულს ვაჭრების საკმაოდ მოზდილს შენობებს, დღეს დაქცეულსა და მიწასთან გასწორებულს.

ამას წინეთ ჩვენს მაზრაში მოვიდა გუბერნიის ექიმი; ამ უკანასკნელმა დაათვალიერა როგორც სოფ. ცაგერი, სადაც ეხლა დაბინავებულია სასამართლოები, ისე განადგურებული ლაილაშიც. ამბობენ, ექიმს ეს უკანასკნელი უფრო უნდა მოსვლოდეს ჭკუაში თავის მდებარეობით, წყლით და ყოველ გვარი ბუნებით, ცხოვრებისათვის საჭირო მასალებით. აქ უფრო შესაძლოთ და მოხერხებულად დაუნახავს დაკმაყოფილება გიგიენურის ყოველ გვარის მოთხოვნილებისა, ექიმი დაჰპირებია აქაურს მცხოვრებლებს, როგორც ეს უკანასკნელი აღიარებენ, აფთიაქისა და საავათმყოფოს დაარსებას ლაილაში, აგრეთვე ბებია ქალის განწესებასაც. ამ დაპირებას, როგორც სულ მობრძავ ადამიანს ექიმის დანახვა და იმედი ცოტა ხნობით მოასულდგმულებს ხოლმე, ისე მოუცოცხლებია აქაური ხალხი; თუ ეს მაინც გვექნა, კიდევ რაღა გაეწყობა, ცოტათი სულს მაინც მოვიბრუნებთო, სულ ხელ დაცლილობას ყველაფერი სჯობიაო, ამბობენ ისინი. აღუსრულდებათ მათ ეს დაპირება თუ არა, ამაზედ ჯერ-ჯერობით ვერას ვიტყვით, მაგრამ საავათმყოფოს, აფთიაქის და ბებია ქალის დაარსება და განწესება რომ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებლებისათვის, ეს კი ყველასაგან დანახული ჭეშმარიტება არის. რამდენი მსუბუქი ავათმყოფები, რამდენი მშობიარე დედაკაცები იხოცებიან და მახინჯდებიან საუკუნოდ ჩვენში იმის გამო, რომ რიგიანი ბინა და მცოდნე მომვლელი არ ეშოვებათ.

როგორც იქნა გავათავეთ წარსულ წელთან ანგარიშები და გავისტუმრეთ იმ თანაგრძნობითა და პატივისცემით, რაც მისგან ჩვენზედ მოტანილს კეთილ დღეობასა და ნაყოფიერებას შეეფერებოდა. უანგარიშო წყევლა-კრულვა და ლანძღვა გინება გააყოლა საგძლად ხალხმა საბრალო ძველს მოხუცს წელიწადს. ჩვენ თუმც ჩვეულებათ გადაგვექცა ძველი წლების წყევლა-კრულვით გასტუმრება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეხლად გამოსალმებულს წელიწადს მარტო ჩვენ არ ვისტუმრებთ ამ ნაირად, არამედ ბანს გვაძლევს თითქმის მთელი ევროპა და

---

*) მხოლოდ ეს უკანასკნელი არის დარჩენილი ლაილაშში ჯერ-ჯერობით.

განსაკუთრებით საფრანგეთი, მაგრამ იმაზედ ლაპარაკს, რაც საუკუნოდ წასულა და შთაბარებია ისტორიის წყვდიადს, თავი დავანებოთ.

ქაიხოსრო გელოვანი.

## მატიანე

### საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ პირველი შეკრებილება ქართული-იმერული საეკლესიო გალობის აღმადგინებელ კომიტეტს ბლაღოჩინის ღამბაშიძის თავმჯდომარეობით ჰქონდა ქალაქს ქუთაისში ოცდა ათს იანვარს. იმედია, რომ კომიტეტი იხმარს ყველა ღონისძიებას ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ანტონ კათოლიკოზის ,,მზა მეტყველების" დაბეჭდვა განუზრახავს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსს. ეს ხმა თუ მართალია, ძლიერ სასიამოვნო არის, მაგრამ საჭიროა სინოდალნის კონტორამ დანიშნოს განსაკუთრებითი კომისია ამ ხელნაწერის გადასახედავათ და ამ კომისიისაგან გარდახედული დაიბეჭდოს ისე, რომ ყველა პირს შეეძლოს მისი მოპოვება და სიძვირისა გამო არავის გაუძნელდეს მისი ყიდვა.

***

ეს უკანასკნელ დროს ძლიერ გახშირდა ჩვენში სხვა-და-სხვა მატყუარა ბერების და მოლოზნების სიარული სოფლებში, განსაკუთრებით იმერეთში. ამათ ჩაუცვამსთ ანაფორები, უშიშიათ სადღაცა ჯვრები და საწყალ ხალხში აგროვებენ ფულებს, ვითომ სხვა-და სხვა მონასტრებისა და ეკკლესიებისთვის. ნამდვილ-კი ვიღაცა ქრუები და თათრები არიან. რიგია, ამისთანა ხალხს პოლიციამ არ მისცეს ნება სოფლებში სიარულისა.

***

ჩვენ ნამდვილათ შევიტყვეთ, რომ მომავალ აპრილის თვეში არის დანიშნული იმერეთის საზოგადო საეპარქიო სამღვდელოების შეკრებილება. ამ კრებამ უნდა გარდაწყვიტოს, თუ როგორ უნდა მოიქცეს სამღვდელოება, რომ თავიანთი შვილები არ დაურჩესთ სემინარიაში გამოუზრდელი, რადგან სინოდს დახმარების საშუალება არ ჰქონებია და სამღვდელოებასაც იმდენი შეძლება არა აქვს, რომ ამ თავითვე სემინარია დაარსოს თავის ხარჯით.

## ჟურნალ-გაზეთთაგან.

### წმიდა ნინო.

(დასასრული).

VII

იგი შევიდა... და მსწრაფლ ნათელი
სნეულის სენაკს გადაეფინა...
თითქოს განსდევნა ბინიდგან ბნელი,
მეფეც იქ იდგა და მოეწყინა.
სპეტაკის სახით დადგა ხალხ წინა,
რომელიც სნეულს გარსა ეხვია,
მოციქულთ დარი ეს იყო ნინა,
მას მკლავზედ თეთრი ჩადრი ეფინა.
ის იყო ტურფა და მშვენიერი,
მოწყობილ სახის, მაღალ ტანისა,
სუფთა სპეტაკი, მდაბალის საცმლით,
და ტანი წვრილი მგზავსი ალვისა.
და იქ მყოფთ ერთობ ჩურჩული შექმნეს,
ნახეს, გაჰკიცხეს და დაიცინეს,
მაგრამ მის სპეტაკს შუბლს რა შეხედეს,
იქ მყოფთა ყველამ ხმა გაიკმიდეს.
რაღაცა ძალამ ამ დროს იელვა,
მეფეც კრძალვით სდგა, თითქოსო კრთოდა,
იმ წამს დამშვიდდა იქ მყოფი ყველა,
სულის განაბით მას შესცქეროდა.
ნარნარად, რხევით, თვით საღმრთო მადლით,
მიუახლოვდა ავად-მყოფს წყნარა,
ხელნი აღიპყრო მან ზეცის მიმართ
პირსზედან ჯვარი რა გადასწერა.
,,საბაო ღვთის და ქრისტეს სახელით
შენ, დედოფალო, მოგეშოს სენი,
აღსდგე დღეიდგან შენ სარეცელით,
სიმართლით განვლე დღეიდგან დღენი."
ვითა ქვეყანას ყინვით დამზრალსა
გამოაცოცხლებს თბილ-გაზაფხული,
ეგრეთ დიდს სნეულს მას დედოფალსა
მსწრაფლ დაუბრუნდა სიმრთელე სრული.
წამსვე დაჰკარგა სიყვითლის ფერი,
ლოყებმა უწყეს წითლად კრიალი,
ნახეს: გაჰკვირდა იქ მყოფი ერი,
ჩვეულებრ უწყეს შავთ თვალთ ბრიალი,
დიდისა ხნიდგან ვით უნახავი
ცოლს მოეხვია რა რომე ქმარი.
ჭირი თუ ნახეს დღეიდგან ავი,
ქვლავ ნეტარების განვლოთ კარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეტის-მეტის სიხარულითა
სტირის იქ მყოფი ერთობრივ ერი,
უკვირთ, აღზდგა რომ სარეცელითა,
მადლი ევლინათ რომ ზეციერი.
ქვლავ ნეტარების წამთა მიეცნენ.
ტანჯვა ვაება ვილას ახსოვდა,
უხვად წყალობას თვის ხალხს გასცემდენ
ბედნიერებას ბოლო არ ჰქონდა.
მაგრამ რა იქნა, საით წავიდა
ის კურთხეული, სადა აქვს ბინა,
დაუჯილდავათ როგორ გავიდა
ის, ვინც საუნჯე მე მომირჩინა?
ისე გავიდა, ველარ შეიტყეს,
და თუმცა ხალხი მას ქალს ეძებდა,
მხოლოდ ნავალი ბილიკზედ ნახეს,
რომ დილის ნამზედ მას ალბეჭდა.

VIII

მზის შუქზედ ელავს მცხეთის კედელი,
არაგვი, მტკვარი, ორ მხრივ შრიალებს
ხალხს ტანთ აცვიათ წმიდა სამცელი,
დიდი, პატარა, ქედს მიაშურებს,
ჯგუფ-ჯგუფად ერი ქედისკენ მიდის,
მსხვერპლსა უზიდვენ თვისსა ბათმანსა,
ზოგს მიაქვს ფული, ზოგს თვალი დიდი,
ძვირფას ქსოვილი ხალიჩა ზოგს,
მცხეთამ გამოსცა ხმა საყვირისა,
ჰსცემენ დაფ-დაფსა და წინწილასა,
და მათზედ დართულს ხმას ნაღარისას
მთანი აძლევენ ერთობით ბანსა.
და ქედის წვერზედ კერპები სამნი,
ბრწყინვენ მზის შუქზედ ვითა ალმაზი,
ქაცია, მასთან ვერცხლის ძაიმი
და ოქროთ ქმნილი ღმერთი არმაზი.
შიშით და კრძალვით რა უყურებენ,
ყველა მუხლს უდრეკს სასოებითა,
ქურუმნი ლოცვას უგალობებენ
საკმელებითა და ქუნდრუკითა.

IX

მეფე, მის ცოლი, აღვიდნენ ქედზე,
აჰყვნენ მსახურნი იარაღ სხმული,
ქურუმთ დაიწყეს ლოცვა თვის წესზე,
რა გაინაბა ყოველმა სული.
და ამ დროს უცებ ცამ დაიქექა,
იწყო სასტიკად ელვა, ქუხილი,
ნიაღვარმა რა წამოუშინა,
ღრუბელი იქმნა შავად მოსილი.
ნიაღვარი ძირს მდინარებრ რბოდა,
და მას ამოჰყვა თან ქარიშხალი,
საშინელის ხმით მიწა იძროდა,
შიშით შინ რბოდენ კაცი, თუ ქალი.
მათ ქარიშხალმა ეს სამნივ კერპნი
სრულად შემუსრა, ძირს გადმოყარა,
ეს წამი იყო თვით საშინელი,
როს ღმერთნი მისცა მდინარეს ჩქარა.
მდინარის ზვირთში არბენიდებდენ,
ჭექა, ქუხილი და ქარიშხალი,
თითქოსა რომ მათ გააცილებდენ
აღარც იქ დარჩა იმათი კვალი.
ხალხი დიდ შიშით საით გარბოდა,
ისე დაიბნა, რომ არ იცოდა,
მის რა შეეძლო, ვინ რას იქმოდა
დახსნის გზა არსით იხილვებოდა.

X

ოქროს სხივებით უცებ მზის შუქი,
მცხეთის გარემოს გადაეფარა,
ქაზბეგის მთიდამ სამო ნიავმა,
შიცხი ღრუბლები სულ გადაყარა.
შეშინებული ხალხი გაჰკვირდა,
ოდეს მთის წვერზედ ნახეს ქალწული,
მშვენიერ სახით უძრავად იდგა,
ბრწყინვალე ნათლით გარე მოცული.
მცვა სპეტაკი ზედ სამოსელი,
ალვის ხის მსგავსი ჰქონდა მას ტანი,
მკლავს გადაეგდო რა საბურველი,
თითქოს რომ იყო ზეცისაგანი.
ნახეთ ქართველსა... ისევ ის არი,
უცხო ქვეყნელი თვით ის ქალწული,
ვინც აღადგინა ნახევარ მკვდარი,
ვინც დაუბრუნა ერს სიხარული.
იმავ ნათელით, იმავ დიდებით,
ზეციერ ნიჭით გარე მოცული,
მეფემ რა იცნო—დიდ მოწიწებით,
მიუახლოვდა აღტაცებული:
„ჩქარა, მიამბე მეც უძლევა ქება,
რომელს ღვთაებას ესავ, მითხარი.
რომე დაუწყო მეც მას დიდება,
ის შენი ღმერთი რომელიც არი."
ეს სთქვა, დაემხო ქალწულის წინა,
ხალხიც მაგალითს იმისას მიჰყვა,
თითქოს ბუნებამ მთლად მოილხინა,
ისე ნათელით დაიწყო ბრწყინვა.

XI

ქლდიან ბილიკზედ, მაღალ მთით წყნარა
ხალხისაკენ რა ჩამოვიდოდა,

მისის ღვთაებრივ თვალებიდგანა
თითქოს ნათელი გამოკრთებოდა.
ველურ ვაზისა ხელთ ეპყრა ჯვარი,
შეკრული იყო ის ქერა თმებით,
რა ჩამოვიდა, დადგა ხალხთ წინა,
ჟღეროვან სიტყვით აქ მიჰყვა ნინა;
,,პალესტინისა სამზღვრისაკენა,
ხალხი ჯერეთცა სად იჭვნეულებს,
იქ ჩემი ღმერთი დაჰქადაგებდა,
შეასწავებდა იქ ჩემი ქრისტე,—
ის ასწავლიდა ძმის სიყვარულსა,
სულ-გრძელებას და მოთმინებასა,
განშორდეს სოფლის წუთს სიხარულსა,
ასწავლიდა მტრის მიტევებასა.
მხოლოდ სიმართლეს თაყვანსა სცემდეს;
და მტკიცედ იყოს მის მიმდევარი,
ამა ქვეყნადა არ ანგარებდეს,
იმის სახსოვრად მოგვცა ჩვენ ჯვარი.
ამ დარიგებამ მე მიმიზიდა,
მხურვალე ლოცვა ღმერთმა მისმინა,
და საოცარი სიზმარი ვნახე,
ერთსა ღამესა რა მიმეძინა.
ღვთისა მშობელმან მე მითხრა ესრედ:
წადი, გაუდექ, დღეიდგან გზასა,
და ღვთისა ძალით, ქრისტესი სწავლა,
ამცნე, ასწავლე ივერიასა!
ის არის ჩემი საუფლისწულო,
ზენა არსითგან ის მხვდა წილადა,
და იქ მყოფ ერსა, სულით მტკიცესა,
ვით ჩემგან ნაკვეთს, ვხადი შვილადა!...

XII

იმ წელსვე ამა ხალხმა ნეტარმა,
დიდ სასოებით იცნო ნათელი,
მცხეთას გამოსცა პირველ ხმა ზარმა,
იმ დღით შეიქნა ქრისტეს მლოცველი!
მირიან მეფე ზე შეგონებით
სად გაიკურნა, იქ ცოლი მკვდარი,
თვის წასაგებით და თავის ხელით,
აღაშენა იქ დიდი ტაძარი...
საუკუნეებმა განვლეს, წავიდნენ,
მაგრამ ტაძარი ესე სდგას მკვიდრად,
და მის გუმბათსა დიდ სიმაღლეზედ,
აღუვალს წვერი, მას, ცადა მიმართ,
ბევრჯელ სევია შავი ღრუბელი,
ზედ ბევრჯელ მეხის ელვას უელავს
და ბევრჯელ მტერი დაუნდობელი
სევია, მაგრამ ღმერთს დაუფარავს.
ვერ დაუკლია ვერცარა მტერსა,
ვერცარა სოფლის ამოდ ბრუნვასა
და იმ ტაძარსა საღმრთო, ძლიერსა,
ისევ ისე ვჭრეტთ, ისევ მაგარსა...
ორივე მხრიდგან ვით ორნი დანი,
გარსა უვლიან წმიდა ტაძარსა,
ამ ორ დას ერთად გადახვეულსა
მათ დღეთ მოწამეთ ვჭვრეტთ არაგვს, მტკვარსა....

## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე.

# მოკლე მოძღვრება,

### თქმული 14 იანვარს ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში ყოვლად უსამღვდელოესის გაბრიელისაგან.

კეთილშობილნო მოწაფენო!

წინდელი დღე მართლ-მადიდებელმა ეკკლესიამ დანიშნა წმიდა ნინას მოსახსენებლად, ხოლო ჩვენცა ყველა, აქ შეკრებილნი, ამასთანავე ვდღესასწაულობთ ამ ტაძრის დღეობას. დამაარსებელმა ამა თქვენი სასწავლებლისა და ამაშენებლებმა ამ ეკკლესიისა განგებ დაარქვეს ამა სასწავლებელს წმიდა ნინას სახელი. წმიდა ნინამ გაანათლა საქართველოს ერი ქრისტეს სარწმუნოებითა; ხოლო თქვენ ყველანი, აქ მოსწავლენი, სწავლობთ ამავე სარწმუნოებას, ნათლდებით იმავე ქადაგებით და მოძღვრებით, რომელნიც წმიდა ნინამ მოუტანა ჩვენ წინაპართა. ამასთანავე თვით წმიდა ნინა არის უმჯობესი თქვენთვის მაგალითი და ჭკუის მასწავლებელი. თქვენ შეგიძლიანთ და ვალდებულნიცა ხართ შეისწავლოთ მისი ცხოვრება, საქმენი და მისი სულიერნი თვისებანი და მერმე მიბაძოთ მას. არც ერთი მოძღვრება არ სჯობია ცხოველ მაგალითს. საქმე უკეთესია სიტყვაზე, მაგალითი უკეთესად მოქმედებს კაცზე, ვინემ მარტო სიტყვა.

რას შესწირა წმიდა ნინამ თავისი სიცოცხლე? რაზე უფრო ზრუნავდა ის? რას მოახმარა მან თავისი სულის ძალა? მან თვისი თავი და ყოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივე თვისი ძალა შესწირა Ⴖვთის სამსახურს. პატარაობიდგანვე მის გულში დაიბადა რაღაც საიდუმლო მისწრაფება, სურვილი, რომ მოსულიყო საქართველოში და ექადაგნა აქ Ⴕრისტეს სარწმუნოება; ის დარწმუნებული იყო, რომ ეს სურვილი იყო გაღვიძებული მასში Ⴖვთისგან და ამიტომ ყოველივე დაბრკოლება მხნეთ დასძლია მან და იხმარა ყოველივე ღონე, რომ მოსულიყო ივერიაში და Ⴕრისტეს სარწმუნოებით გაენათლებია ივერიელნი. აი ცხოველი მაგალითი, რომელსაც უნდა მიბაძოს ყოველმა ქალმა, თუ უნდა, რომ ნამდვილი Ⴕრისტიანე იყოს. მართალია, ყველა ქალს არ შეუძლია, რომ იგი მეორე ნინა იქმნეს. არა ყოველს ქალს შეუძლია მოაქციოს Ⴕრისტესადმი მთელი ხალხი. ამისთანა საქმის შესრულება არ შეუძლიან ყველას. მაგრამ ყოველ ქალს შეუძლია დავალდებულიცა არის ნიჭისა მებრ მისისა თვის წრეში, განაღვიძოს Ⴖვთისადმი სიყვარული და შესწიროს თავის თავი თავის ნათესავთა, მოყვასთა და, შეძლებისა და გვარად, იყოს მომხრე კეთილისა. განსაკუთრებით ყოველს ქალს შეუძლია და მოვალეც არის, რათა იყოს აღმასრულებელი Ⴖვთის ნებისა; დიდი საქმეა Ⴖვთის პატივის ცემა და დიდება მისი ჩვენი კეთილი საქმეებით. ეს უმეტესად მოგეთხოვებათ თქვენ, რადგან ამ სასწავლებელში ნერგვენ თქვენს სულში უძვირფასეს სიმდიდრეს—Ⴕრისტიანობრივს განათლებას. სამწუხაროა, როდესაც ვინმე ქალი იქცევა დაფანტულად და თავის სიამოვნების გარდა არაფერზე არ ფიქრობს და უყვარს მხოლოდ თავის თავი. მაგრამ როდესაც ასე იქცევა ის ქალი, რომელმაცა განათლება მიიღო, ეს უფრო სამწუხაროა და არ მიეტევება მას.

Ⴋეორედ, წმიდა ნინას უყვარდა უბრალო და მშვიდი ცხოვრება, არაფერში არ უყვარდა გადაჭარბება, კმაყოფილდებოდა უბრალო საჭმელით და უბრალო ტანისამოსით. აი დიდი და მისაბაძავი მაგალითი ყოველთა ქალთა, განსაკუთრებით ჩვენი ახალის დროის ქალთა! როცა თქვენ ამ სასწავლებელში სწავლას შეასრულებთ და შემდეგ შეუდგებით თავისუფალ ცხოვრებას, ერიდეთ ძვირფას მორთულობას, ნუ გაერთობით უაბრალო ქვეყნიურს სიამოვნებასა და გაფანტულს ცხოვრებასა, რადგან ამისთანა ცხოვრება მავნებელი იქნება თქვენთვის. საუბედუროდ და მრავალთა სამწუხაროდ, შენიშნულია, რომ განათლებული ქალები უფრო ეტრფიან ამისთანა ცხოვრებას. ამიტომ თქვენ ყოველთვის თვალწინ უნდა გქონდესთ წმიდა ნინა. იმასაც შეეძლო მდიდრულათ ჩაცმა და ცხოვრება; რადგან მასაც ჰქონდა შეძლება, რომ თვისი ცხოვრება სიამოვნებით გაეტარებია, მაგრამ ეს ყოველივე შესწირა Ⴖვთის და მოყვასთა სამსახურს. ამ სასწავლებელში თქვენ, კეთილშობილნო მოწაფენო, უნდა მიეჩვიოთ ყოველ საგანზე სჯას კანონიერად. აქ თქვენ უნდა ჩაინერგოთ თქვენს სულში მტკიცე გრძნობანი და უნდა განამტკიცოთ თქვენი ნება, რომ შემდეგში ყოველივე მწუხარებას დახვდეთ მზათ; შთაინერგეთ თქვენ სულში წმიდა ნინას მაგალითი და დარწმუნდით, რომ ზომიერს, ფხიზელს და შრომის მოყვარულ ცხოვრებას შეუძლია ბედნიერება მიანიჭოს კაცს, ხოლო მოუფიქრებელი, წინ-დაუხედველი და არა ზომიერი ცხოვრება ღუპავს ყოველ კაცსა.

Ⴘეგეწიოსთ თქვენ ყველას Ⴖმერთი წმიდა ნინას ვედრებით, რათა ცხოვრებაში ყოველთვინ იქმნეთ მომხრე კეთილობისა და სიწმიდისა. ამინ.

---

## ႰႤႣႠႵႺႨႨႱ ႮႠႱႳႾႨ.

**ႠႡႠႸႤႪႱ.** სამწუხარო ამბავი საწყალი პრიჩეტნიკის პუციას მოკვლის თაობაზე იყო გაზეთებში დაბეჭდილი და საჭიროთ აღარ ვრაცხთ ამის თაობაზე თქვენი წერილის დაბეჭვდვას.

**ႭႦႳႰႢႤႧႱ.** ვ. Ⴏ—ძეს. Ⴗველა გამოგზავნილ ცნობებს ვერ მივიღებთ და ვერ დავერწმუნებით, თუ კორრესპონდენტს კარგად არ გიცნობთ.

# განცხადებანი.


მიიღება ხელის მოწერა გაზეთს

## „დროებაზედ“

1885 წლისათვის.

ტფილისში—„დროების“ რედაქციაში; ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში—ვანო როსტომაშვილთან; გორში—ალალო თუთაევთან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

---

იქვე და იმავე პირებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის მოწერა ჟურნალ

## „ივერიაზედ“

ვინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ჟურნალს „ივერიას,“ უნდა გამოგზავნოს წლის ხვედრი ფული ცხრა მანათი (სოფლის მასწავლებელთათვის ხუთი მანათი) „დროების“ რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ въ Редакцію „Дроэба.“

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს მეუღლისა „დროება“ და „ივერია“ ერთის წერილით დაიბაროს და ამისთვის ხვედრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს „დროებისავე“ ადრესით.

რედაქცია „ივერიისა“ სთხოვს მათ, ვისაც წერილების და სტატიების გამო საქმე ექმნება რედაქციასთან, მიმართონ თვითონ რედაქტორს ყოველ დღე დილის რვა საათიდამ დილისვე ათ საათამდე, ახალ ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 1.

რედაქტორი „ივერიისა“ ილია ჭავჭავაძე.

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА
## ВЫХОДЯЩУЮ ВЪ МОСКВѢ СЪ 1885 г.
## ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧЕСКУЮ и ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ
# „ЖИЗНЬ“.

Редакція, желая дать публикѣ своевременныя руководящія и лѣтописныя статьи по важнѣйшимъ вопросамъ дня и задавшись цѣлію служить органомъ не мѣстныхъ, а общихъ интересовъ, приметъ всѣ мѣры къ тому, чтобы каждый номеръ газеты соотвѣтствовалъ предпринятой задачѣ.

ГАЗЕТА БУДЕТЪ ВЫХОДИТЬ ВЪ РАЗМѢРѢ СРЕДНЯГО ПЕЧАТНАГО ЛИСТА.

**Подписная цѣна съ доставкою и пересылкою.**

| | | | |
|---|---|---|---|
| На годъ | 5 р. — к. | На 3 мѣсяца | 1 р. 50 к. |
| На полгода | 2 » 75 » | На 1 мѣсяцъ | — » 60 ». |

**Въ розничной продажѣ каждый № газеты 5 коп.**

**Объявленіе принимаются за строку петита:**
на 1-й страницѣ . 12 к. На послѣднихъ . . 6 к.

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

въ конторѣ редакціи: у Каменнаго моста, Софійская набережная, д. Котельниковой (съ 10 до 4 ч. пополудни).

и въ отдѣленіяхъ ея: въ книжныхъ магазинахъ Н. И. Мамонтова (на Кузнецкомъ мосту) Карбасникова (на Моховой, противъ Университета, домъ Коха) и въ Конторѣ Печковской (Петровскія линіи).

Въ Казани: въ книжно-музыкальномъ магазинѣ «Восточная Лира».

ИНОГОРОДНІЕ АДРЕСУЮТЪ ИСКЛЮЧИТЕЛЬНО:
**МОСКВА, ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗЕТЫ „ЖИЗНЬ“.**

Въ редакціонныхъ трудахъ принимаетъ постоянное участіе **Ѳ. Н. ПЛЕВАКО.**

Редакторъ Д. М. Погодинъ. Издательница Е. И. Погодина. (2—1)


*Дозв. цензурою Кутаисъ, 31 Января 1885 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.